უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 22 0001069265

13/09/2022

სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული განაცხადის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის № 20 დადგენილების პირველი მუხლის 1^{1} და 1^{3} -პუნქტების და ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89^{8-}ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 21 აგვისტოდან.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის № 1069238 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი № 2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, № 64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა